



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

## დედამინის ხელოვნური თანამგზავრი



ქართული კოსმოსური  
ანტენის გაშლა  
კოსმონავტების მიერ

დედამინის ხელოვნური თანამგზავრი, დედამინის პირველი ხელოვნური თანამგზავრი.

4. X. 1957 (სსრკ). (დხთ), კოსმოსური აპარატი, რ-იც გაჰყავთ დედამინის გარშემო ორბიტაზე სამეცნიერო და პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად. საერთაშ. შეთანხმების თანახმად, კოსმ. აპარატს უწოდებენ თანამგზავრს, თუ მან შეასრულა არანაკლებ ერთი სრული გარემოქცევა დედამინის გარშემო, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ჩაითვლება რაკეტულ ზონდად. დასახული ამოცანების მიხედვით, დ. ხ. თ. შეიძლება იყოს სამეცნ.- კვლ. ან გამოყენებითი.

თუ დ. ბ. თ-ზე დადგმულია რადიოგადამცემი, რაიმე გამზომი აპარატურა, იმპულსური ნათურა სინათლის სიგნალების გადმოსაცემად და ა. შ., მას აქტიურ სუნოდებენ, ხოლო თუ დ. ბ. თ-ზე არ არის ხელსაწყო-იარაღები და მას აკვირდებიან დედამიწიდან ამა თუ იმ ამოცანის გადასაწყვეტად – პასიურ ს. სამეცნიერო-კვლევით დ. ბ. თ-ს იყენებენ დედამიწის, ციური სხეულებისა და კოსმ. სივრცის გამოსაკვლევად. ასეთებია გეოფიზ., გეოდეზიური თანამგზავრები, ორბიტული ასტრონ. ობსერვატორიები და სხვ. გამთყენებელი დ. ბ. თ-ებია: კავშირგაბმულობის, მეტეოროლოგიური, დედამიწის ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი, სანავიგაციო, საავარიო და სხვ. კოსმოსში ადამიანის გასაფრენ დ. ბ. თ-ს კოსმოსურ ხომალდს უწოდებენ, დედამიწის ეკვატორის გასწვრივ გაშვებულს – ეკვატორულს, მერიდიანის გასწვრივ გაშვებულს – პოლარულს, ხოლო დედამიწის ბრუნვის თანხვედრილად ეკვატორის გასწვრივ 35800 კმ სიმაღლეზე წრიულ ორბიტაზე მოძრავს – გეოსტაციონარულს, ვინაიდან ის ყოველთვის დედამიწის ერთი და იმავე წერტილის ზენიტის მახლობლადაა.

პირველი დ. ბ. თ. საბჭ. კავშირიდან გაუშვეს (4. X. 1957), შემდეგ – აშშ-დან (1. II. 1958), ინგლისიდან (26. IV. 1962), კანადიდან (29. IX. 1962), იტალიიდან (15. VII. 1964), საფრანგეთიდან (26. XI. 1965), ავსტრალიიდან (29. XI. 1967), გფრ-იდან (7. II. 1969), იაპონიიდან (11. II. 1970), ჩინეთიდან (24. IV. 1970) და ა. შ. კოსმ. აპარატების რეგისტრაციის საერთაშ. სისტემის შესაბამისად, საერთაშ. ორგანიზაცია „კოსპარი“ („Cospas“, კოსმ. კვლევის ცენტრი) 1957–62 დ. ბ. თ-ებს აღნიშნავდა მათი გაშვების წლით, ბერძნ. ანბანის ასოთი, რ-იც შეესაბამებოდა იმავე წელს გაშვებული თანამგზავრის რიგით ნომერს, და არაბული ციფრით (სიკამკაშის ან სამეცნ. მნიშვნელობის საჩვენებლად) (მაგ., 1957 ლ2 პირველი საბჭ. დ. ბ. თ-ის აღმნიშვნელია, ხოლო 1957 ლ1 – მისი რაკეტა-მატარებლისა; რაკეტა-მატარებელი უფრო კამკაშა იყო).

1963 წ. 1 იანვრიდან კოსმ. ობიექტებს აღნიშნავენ გაშვების წლით, ამ წელში გაშვებული რიგითი ნომრით და ლათ. ანბანის მთავრული ასოთი. პირველი ცოცხალი არსება, რ-იც კოსმოსში გაუშვეს, იყო ძალღი სახელად ლაიკა (1957 წ. 3 ნოემბ.), პირველი ადამიანი კი – საბჭ. კოსმონავტი ი. გაგარინი (1961 წ. 12 აპრ.). დ. ბ. თ-ზე დასაკვირვებლად 1957-იდან შექმნილია დაკვირვების სპეც. ოპტ. სადგურები.

თავდაპირველად საქართველოში სამი ასეთი სადგური შეიქმნა – აბასთუმნის ასტროფიზ. ობსერვატორიასთან (ხელმძღვ. ი. ალანია), თბილ. სახელმწიფო უნ-ტსა (ხელმძღვ. გ. კვიციანი) და ბათუმის პედ. ინ-ტთან (ხელმძღვ. ნ. კალანდაძე). ოპტ. სადგურები არსებობდა 1968-მდე. განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი ორი სადგურის მუშაობა. სადგურების თანამშრომლები მრავალჯერ დაჯილდოვდნენ, მ. შ. ერთ-ერთს – რ. კილაძეს – სსრკ სახელმწ. პრემია მიენიჭა (1971). საქართველოში (რ. კილაძის მიერ) მიმდინარეობდა 900-ზე მეტი გეოსტაციონარული თანამგზავრის მოძრაობის თეორიულად შესწავლა და მათი ორბიტების კატალოგის შედგენა.

